ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 595 71 02 00

N 27
31/05/2019

27-08-4-201905311654

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების („ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2019 წლის 22 მაისის N2 აქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს:

ა) N 2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის პროექტის შედგენა (N1 ბაგა-ბაღის და N1 ბაღის განტვირთვის მიზნით) და 2020 წლის ბიუჯეტში შენობის რეაბილიტაციისთვის შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება.

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულებიდან და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2019 წლის 22 მაისის N2 აქტიდან (დანართი N1) გამომდინარე 01 ნოემბრამდე წარუდგინოს ბაღებსა და ბაგა-ბაღებში შენობა-ნაგებობის და ინფარასტრუქტურული ობიექტების ეტაპობრივი რეაბილიტაციის გეგმა.

გ) მიმდინარე წლის სექტემბრიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულებიდან (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) გამომდინარე ზოტის საბავშვო ბაღში დამატებით გაიხსნას სააღმზრდელო ჯგუფი(თანხები გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტში).

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა).ი.პ ,,მომავლის“ ხელმძღვანელობამ:

ა) შეისწავლონ ბაღებში და ბაგა-ბაღებში არსებული გაზის გაყვანილობის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხები და უზრუნველყონ მათი აღმოფხვრა სასწრაფო წესით.

ბ) შეისწვლონ სოფელ დაბლაციხეში სკოლამდელი აღზრდის კონტიგენტი და წარმოადგინონ წინადადება საბავშვო ბაღის გახსნასთან დაკავშირებით.

3. ა(ა)ი.პ ,,მომავლის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს კანონის ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ შესაბამისად უზრუნველყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოების შექმნა.

4. მიმდინარე წელს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შესწავლილი იქნას საქართველოს კანონმდებლობის და ა(ა).ი.პ ,,მომავლის“ წესდებით გათვალისწინებული საკითხები და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა.

5. კონტროლი განკარგულების აღსრულებაზე დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისის.

6.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა